

ქ.თბილისი

2018 წლის 19 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 19 ნოემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თავართქილაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ნ. მგელაძის ოქმი, მთავარი მსაჯის ი. ჭანუყვამის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ვიდეომასალა, ამა წლის 11 ნოემბერს, I ლიგის მატჩზე, თბ „დინამო“-სა და ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „დინამო“-ს მორაგბე ირაკლი გოდერძიშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს მორაგბე ნიკოლოზ ხარბედია - კონფლიქტის პროვოცირება
3. ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს მორაგბე ნიკოლოზ ჩაგუნავა - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „დინამო“-ს მორაგბე მორაგბე ი. გოდერძიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს მორაგბე ნ. ხარბედია დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
3. ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს მორაგბე ნ. ჩაგუნავა - დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 19 დეკემბრამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ფოთის „ივერია კოლხი რაინდები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/